№ 267 — შაბათი, 9 დეკემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 267 — შაბათი, 9 დეკემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІЯ“.

---

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, 1895 წ.

მეოთხე გასტროლი

ეფ. ს. მესხისა.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ მ. საფაროვისა, ე. მესხისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის-მონაწილეობით

I

„მადამ სან-ჟენ“

კომედია 4 მოქმედ. სარდუსი და მოროსი, თარგ. კ. მესხის-მიერ.

II

„გულმა იგრძნო“

კომ. 1 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, ცაგარელი, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

---

ტფილისის მეორე ვაჟების გიმნაზიის გულშემატკივართა საზოგადოება ამ წლის 26 დეკემბერს გამართავს

## თეთრ ბალს

ხსენებულ გიმნაზიის მოსწავლეთა სასარგებლოთ. ბილეთის ფასი ორი მანეთი. მანდილოსანი, რომელიც არა თეთრ კაბაში მოვა ბალზე, ხუთ მანეთს ჯარიმას გარდიხდის.

(3—1)

---

## 1896 წ.

კედლის ქართული კალენდარი

## უფასოდ

წაიკითხეთ ქართველთა ამხანაგობის განცხადება მეოთხე გვერდზე.

(3—1).

---

# ახალი ამბავი

—

*** ბაქოდამ გვწერენ, რომ იქაურ ქართველ საზოგადოებას განუზრახავს გამართოს წარმოდგენა და სალამო წყალ-დიდობისაგან დაზარალებულ საქართველოს სოფლის მცხოვრებთა სასარგებლოდ.

*** «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულ წარმოდგენისათვის ბილეთები ისყიდება ამავე საზოგადოების კანცელარიაში.

*** მეორე ნაგორნის ქუჩაზე ტატიშვილის სახლების ქვემო სართულში თ. ფ. ქალს 6 ამ თთვეს ღამით ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ყუთიდამ ამოაცალა ხუთმეტი თუმანი ფული.

*** რკინის გზის ლიანდაგი ყვირილის სადგურის ახლო კვლავ გაუფუჭებია წყალს; ხაშურში, მარელისში და სხვაგანაც წვიმა მოდის და აბრკოლებს მუშაობას.

*** მიხეილის საავადმყოფოში, გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, 5 დეკემბრიდამ აღარ იღებენ მძიმე-გადამდებ სენით ავადმყოფთა, რადგანაც საავადმყოფოს განყოფილება აივსო დიფტერიტით და ყვავილით ავადმყოფებით.

*** ქალაქის სანიტართა ცნობებით, გადამდები ავადმყოფობა თანდა-თან კლებულობს ტფილისში ამ ჟამად. დიფტერიტით და ნამეტურ ყვავილით ახლა ნაკლებად ხდება ხალხი ავად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, კ. პ. იანოვსკი, ცოტა უქეიფოდ ყოფილა და ამ ჟამად კარგად არის თურმე.

*** თერგის მხარის უფროსს ბძანება გაუცია, რომ ორის კვირის განმავლობაში ჩაეჭერთვას იარაღი ბესლანის ახლო მცხოვრებელ ოსებს, რადგანაც ხშირად არის ხოლმე ძარცვა „არტელშჩიკებისა“ გზებზედ. (ჩ. ვ.).

*** ქრისტიშობის თთვის დასასრულ გასინჯულ იქნება ახალი წესწყობილება სატყეო ინსტიტუტისა პეტერბურგში. კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს ეს საქმე, იქნება თავმჯდომარეობით მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონების მინისტრის ა. ს. ერმოლოვისა (ნ. ვ.).

*** ფოშტამ რომ უფრო სწრაფად აასრულოს ხოლმე თავისი საქმე, წერილები და კორესპონდენციები უფრო ხშირ-ხშირად ჰგზავნოს, განუზრახავთ, გარდა იმისა, რომ ყოველ დღე იგზავნება საფოშტო მატარებლითა, პასაჟირთა მატარებლითაც ჰგზავნონ ხოლმე წერილები და მათ შორის გაზეთებიცაო. (ნ. ვ.)

*** აწ განსვენებულს მეუღლეს მინისტრის გრაფ დელიანოვისას უანდერძებია 48,000 მანეთი ლაზარევის ინსტიტუტში ექვსის პანსიონერის შესანახად, 10,000 მანეთი

---

# ფელეტონი

მეოთხე რეხა.

(მგზავრის წერილები)

წერილი მეორე.

ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე.

დასასრული *)

ერთმა რეხელმა ქართველმა მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც სრულებით თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს, მიამბო:

„ჩვენი პაპა სურამელი ყოფილა თავადი მურვანიშვილი. როცა საქართველოს აწუხებდა ლეკი, ყიზილბაში და თათარი, გაუჭირდათ და იფიქრეს: ე ხომ აღარ გვასვენებენ და ამდენ რბევას, მოდით და სათათრეთში გადავსახლდეთო. სამნი ძმანი ყოფილან. უფროს ძმებს გადაუწყვეტიათ უეჭველად წასვლა და უმცროს ძმას-კი უთქვამს: მე არ წამოვალ, მე აქ, ამ კაკლის ძირში, უნდა მოვკვდეო. ამდგარან და ეს ორი ძმა მალულად გადასულან ოსმალეთს არტაანში და სოფ. ველს დასახლებულან.

„პაპიჩემის ძმას პეტრეს ჰყავდა ცოლად ახალციხელი ქართველი ქალი, კარგი გაზრდილი, ღვთისნიერი და წერა-კითხვის, ხელ-საქმის კარგი მცოდნე. ამათ მიეცათ ვაჟიშვილი ვასილი, რომელიც დედამ აღზარდა ღვთის შიშში და ასწავლა ქართული წერა კითხვა და საღმრთო წერილი. ვასილი ნიჭიერი ყმაწვილი გამოვიდა და ისე შეუყვარდა საღმრთო წერილი, რომ მოემზადა მღვდლად კურთხებულიყო. თათრობის დროს აბა აქ სად იყო ქართველი ეპისკოპოსი და ამიტომ ვასილი წავიდა კისკიმში, რადგან კისკიმი უფრო ახლოა (ტრაპიზონისკენაა).

კისკიმში მაშინ (1828 წ.) ეპისკოპოსობდა ბერძენი ეპისკოპოსი თეოკლიტოსი, რომელმაც მღვდლად აკურთხა ვასილი და გამოისტუმრა. ვასილ მღვდელმა კისკიმიდამ აჭარაზე გადმოიარა და აქ შეიტყო, რომ რუსი შემოსულა სამცხეშიო. ახალციხეს რომ მოვიდა, ნახა, რომ ციხეს რუსის ჯარი შემორტყმოდა (1828 წ. აგვისტოს 15). ხომ კიდეც აიღო პასკევიჩმა ეს მხარე. მერე რაკი ყარსი და არტაანი უკანვე გადასცეს ოსმალოს, ჩვენები აღარ დადგნენ სათათრეთში, აიყარა მთელი სოფელი ველი და მამაჩემიც მაშინ წამოჰყვა სოფელს და აქ რეხაში დავსახლდით. მარტო ჩვენის ოჯახიდამ თორმეტი აკვანი წამოვიდა.

„ვასილ მღვდელს მაშინათვე უბოძა პასკევიჩმა რამდენიმე სოფელი მრევლად: ნიჯგორი, ხიზაბავრა, ვარევანი, თოკი და სხვ. ხოლო ჯავახეთის დანარჩენ სოფლებს, საცა-კი კანტი-კუნტად ქართველი ქრისტიანი დარჩენილიყო, ზოგი ცხადლივ, ზოგი მალულად, ამათაც ორი მღვდელი მწყსიდა—კოთელიელი ნიკოლოზ მღვდელი და ბარალელი პეტრე მღვდელი.

„მე ოთხის წლისა დავვობლდი და ვასილ მღვდელმა თავისთან წამიყვანა, ღვთის სიყვარულში მზრდიდა და საღმრთო წერილს მასწავლიდა. ამ რეხაში მაშინ კირიაკი ღვდლობდა, რომელიც, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, თუმცა ქართველი იყო, მაგრამ ქართული დაჰვიწყებოდა და ბერძნულად-კი ზეპირად სწირავდა, რადგან თათრულის მეტი სხვა ენა არ იცოდა. ბოლოს და ბოლოს ქართული ცოტათი შეისწავლა და ჩემს ყმაწვილობაში მახსოვს, რამდენჯერაც რეხაში მოვიდოდი, ქართულად წავუკითხავდი ხოლმე სამოციქულოს და ორიოდე ძილის პირიც ვიცოდი გალობით. საწყალი ბერიკაცი მღვდელი ისეთის აღტაცებით მოისმენდა ხოლმე ქართულ გალობას და სამოციქულოს, რომ სიხარულის ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა“.

ბოლოს ჩემმა მობაასემ მითხრა, რომ ვასილ ღვდლის ამბებს კიდევ მერე გეტყვიო.

მართლაც-და, როგორც შევიტყე, იმ დროის მღვდლების კეთილ-მოღვაწეობა, განსაკუთრებით სულხანიშვილისა, ვასილ მღვდლისა, პეტრე და ნიკოლოზ მღვდლებისა, საკმაოა ამ პატივცემულ მამათა ცხოვრება და მოღვაწეობა აიწეროს, რომ მთელი მესხეთისა და ჯავახეთის, მათის დროის (1800—1853 წ.) ისტორია შესდგეს.

—

ეჰ! დავანებოთ თავი წარსულზე ჩივილ-ტირილს: რაც იყო, იყო, სჯობს წარსულის მაგალითი გავითვალისწინოთ და ჩვენს აწმყოს იმისდა-გვარად გავუძღვეთ. თქვენ ის მიბრძანეთ, ახლა რა ვუშველოთ და როგორ ვუშველოთ ამ რეხელ ქართველებს?..

ბევრჯელ ვინატრე: ქართლის რეხა აქ გაჩენილიყოს და წალკის რეხა ქართლში.

ქართლის რეხის სკოლა ამ რეხაში მოქმედებდეს და იმ რეხის მღვდელიც ამ რეხაში მოღვაწეობდეს...

ვიცი ბევრი მიკიჟინებს: „ნუტორას მოუცლია, ლამის საქართველოს გულში ქართველობა გადაგვარდეს და ეს-კი ვიღაც დაკარგულ რეხელებზე სჩივის“... მეც რა მეთქმის... მახლას!...

მაგრამ დაგიჯეროთ? ნუ თუ?... ნუ თუ ასეა საქმე, როგორც თქვენ მიკიჟინებთ!?...

მაშ სჩანს ქართველი ერი ბრემის ცხვრები ვყოფილვართ, აი ზემოდ რომ მოგახსენეთ. მაშასადამე, ღირსნიც ვართ ჩვენზედაც ის აზრი შეადგინოს მეცნიერმა ხალხმა, რა აზრისაც ბრემია ცხვრებზე და ისეთივე მდაბიობით გვახსენონ, რა მდაბიობითაც ბრემი ცხვრებს იხსენიებს...

იმ დღეს კიდე ერთი ჩემი მეგობარი აი რას შემომჩიოდა:

„ათი-თორმეტი წელიწადია თვალყურს ვადევნებ ჩვენის ერის ცხოვრება-მოღვაწეობას, — ასე დაიწყო ჩემმა მეგობარმა—და სამწუხაროდ, იცი რა აზრი შევადგინე? წარმოიდგინე რომ ქართველი ხალხი ჯერ მცირე წლოვანი ყოფილა!

— ?!

— ერთმა ვინმემ რომ დღეს გვითხრას: „თქვენთვის აღარ მცალიან, თქვენ თავს თქვენვე მოუარეთო“, შენ რა გგონია? გგონია შევძლოთ ერთის ოჯახის შედგენა? აი შენც არ მომიკვდე! თუ გინდ კიდეც შევადგინოთ, ყველანი მამასახლისობას მოვინდომებთ და აირევა მონასტერი, დავერევით აღმოსავლეთი დასავლეთს, სამხრეთი ჩრდილოეთს და ერთმანეთს ამოვჟლეტავთ.“

აი დიდება შენდა ღმერთო! რამ გაუტეხა გული ამ ოჯახ-ქორებს? დავიჯერო ქართველობა იქამდე ჯერ არ მოემწიფებულვართ, რომ ერთობის ძალაც ვერ შევვიგნია!

არა ბატონებო, ნება მიბოძეთ არ ვიწამო თქვენი უჯერობა. მხოლოდ ის-კი მწამს, რომ „საქმეს წაახდენს რევენი, ფათურაკს დააბრალებსა“ და „რასაც კაცი თავისს თავს უზამს, ქვეყანა რომ შეიდგეს, იმას ვერ უზამს.“ ქართველ კაცს და, მაშასადამე, ქართველ ერს, რაც ცუდი რამ მოსდის, თავისის უქმ—ბ—ით, გულკეთილობით, დაუდევრობით და უფხიზლობით მოსდის...

რას ბრძანებთ! „გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმევა.“ თქვენ სიფხიზლე ბრძანეთ, თორემ შეუძლებელი მხნე ერისთვის არაფერია...

გაქვსთ სიმხნე, გერჯით გული, ფხიზლობს გონება, გეწვით გული სამშობლოსათვის?.. მაშ გაისარჯეთ! შრომა და მოთმინება ყველაფერს დასძლევს.

მეორე დღეს კიდევ მოვიდა ის ჩემი მეგობარი და ყორანივით შემომჩხავლა—საშინელება მიამბო:

— გუშინ ყველაფერი ვერ გითხარი—კვლავ დაიწყო ჩემმა მეგობარმა—ევროპიულ შუქ-სინათლეს ერთი

---

*) იხ. „ივერია“ № 265.

სომხთა ეკკლესიებისათვის, 40, 000 მანეთი იმისათვის, რომ ეკკლესიის სახლთან გამართულიყო თავ-შესაფარი ბინა ექვსის ღარიბ დედა-კაცისათვის (ნ. ვ.).

*** იმ კონცერტიდამ, რომელიც 27 ნოემბერს „ტფილისის სობრანიეში“ იყო გამართული ქართულ მომავალ საქალებო სკოლის ფონდის გასაძლიერებლად, ბილეთების გასყიდვიდამ შემოვიდა 687 მან. 50 კაპ., პრემიებისა 130 მან. 45 კაპ. და სულ 817 მან. და 50 კ. აქედამ დაიხარჯა: ბ-ნს პორტენს მისცეს 100 მან., კლუბის შენობას 80 მან., მარკებისა 29 მან., შვეიცარებს 5 მან., აფიშების გაკვრისა და სხვა წვრილ ხარჯზე დაიხარჯა 9 მან. და 10 კ. და სულ 223 მან. და 10 კაპ. კონცერტის გამმართველი კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა უგულითადესს მადლობას უძღვნის ამ კონცერტში მონაწილეობის მიმღებთ: არტისტ-ქალს ი. ლ. სოკოლოვსკისას, მ. ი. უნთილოვისას და ილინსკისას, აგრეთვე ბ-ნთ ი. ა. პორტენს, ი. კარგარეთელს, კ. მესხსა და ბ-ნს ფოლდს; მადლობას უძღვნის აგრეთვე ბ-ნთ შარაძესა და ჩარკვიანს, რომელთაც ბილეთები, აფიშები და პროგრამა უფასოდ დაუბეჭდეს და რედაქციებს „ნოვ. ობოზ.“-ს, „კავკაზსა“ და „ივერიას“, რომელთაც კონცერტის განცხადებები უფასოდ დაბეჭდეს.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ქედა** (ქვედა აჭარა). ამ დღეებში ღარიბ ხალხს დიდი ზარალი მიეცა საშინელ წვიმებისაგან. უმეტესი ალაგი სოფ. ქედაში თავიდამ ბოლომდე მიწა ნახევარ არშინამდე გახეთქილია და დუქნები აგერ წაიქცევა ისეა. სამი შენობა წაიქცა კიდეც, კანცელარიის ბინაც მოიშალა და სხვაგან გადავიდა. ამის გარდა, ვისაც წყლის ნაპირას მინდორ-მამულები ჰქონდა, სულ ერთიანად წალეკა ადიდებულმა წყალმა. ზოგიერთს სიმინდით გავსებული ნალიები და ზვინები წაართვა, ზოგს კაპანი ადგილები სიმინდიანი ნიაღვარმა ჩაიტანა აჭარის წყალში, მისცა ჭოროხსა. მაღალს სოფლებში სახლების ბინა, ქვეშ ნაფუზრები სახლიანად მოსკდა, რაც ხეხილი ჰქონდათ მოსპო, სადაც ხილები იყო, აღარ დასტოვა, მოგლიჯა. გაღმა-გამოღმა ადამიანის გასვლა-გამოსვლა შეუძლებელია. რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა აჭარის წყალმა. ჯერეთ რამოდენიმე გვამებიც არ უპოვიათ. სახელმწიფო გზები ძლიერ გაფუჭებულია, ისე რომ ძველად, როგორც თათრის დროს იყო, ისეა; ცხენით სიარული შეუძლებელია. თუმცა ახლა შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ მალე არ გაკეთდება. ერთის სიტყვით, აჭარა სულ ერთიანად დანგრეულ-მინგრეულია. უკანასკნელ ფუხარა ხალხს ორმოც-სამოცი მანეთის ზარალი ექმნება. წრეულს შარშანდელზე უფრო ნაკლები აქვთ სარჩო სიმინდი. ჩვენში ძველი ანდაზა არის: თვით არ იყო ძმარი, შიგ ჩავიდა წყალიო. ფუხრის საქმეც ასეა: ბევრს სამის თთვის სარჩო არა აქვთ. ხალხი სჩივის, რომ დიდ შიმშილს მოველითო და ხელ-დაკრებილი დაიარება. სიმინდის ფასი არის დღეს ოთხი აბაზი. ამ დროს მის დღეში არ გაგონილა სიმინდის ამგვარად გაყიდვა, მერე უფრო გაძვირდებაო; ისე დღე არ გავა, რომ ჩვენ ნაჩალნიკს არ სთხოვონ, შეგვეწიეო. ამ დიდ წყლობაზე კინაღამ დიდი საცოდავობა მოხდა. თურმე სამი პატარა ბიჭი, ათი წლის ბაშვები, წყლის ნაპირზე მისულან თევზების ასაკრეფად. იმ დროს უცებ წყალი ადიდდა და ბაშვებს გვილიშამ შემოუარა თურმე და იმ დროს იქვე ხე ყოფილიყო სამნივე ავიდნენ ხეზედ. წყალმა უფრო-და-უფრო იმატა. ბაშვებს რაღა უნდა ექნა? შექნეს ყვირილი. ხალხი შეიყარა გაღმა - გამოღმა, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა წყალში შესვლა და ბაღნების გამოყვანა. იმ დღეს და ღამეს ხეზე დარჩნენ. მეორე დღეს ბატალ ბაბოჩი ოღლიმ შესცურა და თოკი თან წაიღო. თოკი თითო თითოდ საწყალს ბაშვებს მიაწოდა და მშვიდობით გადაარჩინა. იმ ვაჟკაცს ხალხმა, დიდმა, თუ პატარამ, მადლობა გადაუხადა.

აბდულ-ეფენდი მიქელაძე.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბავი.

— ძაღლისა და კატას მტრობა ხომ ანდაზად არის გადაქცეული, თურმე ნუ იტყვით იმათ შორისაც არა ერთი და ორი მაგალითია თავ-დადებულ მეგობრობისა. აი ამის თაობაზე რა უებველს ამბავს მოგვითხრობენ: ერთს კაცს სახლში ძაღლი და კატა ჰყოლია ისე დამეგობრებულნი, რომ ერთმანეთს თურმე არა ჰშორდებოდნენ და დროს სულ ერთად ატარებდნენ, ერთისა და იმავე ჯამიდამ ერთად სჭამდნენ, ერთად სვამდნენ და ერთად იძინებდნენ. ერთხელ ძაღლი და კატა ერთად თურმე ჰთამაშობდნენ და უეცრად კატა გადაბრუნდა და ხელში მოუკვდა ძაღლსა. ძაღლი პირველში ვერ მიხვდა რა ამბავი დაემართა მის მეგობარსა და დიდხანს სცდილობდა გამოეღვიძებინა და ამისათვის ხან აქედ ატრიალებდა და ხან იქით. ბოლოს მიხვდა რაც შეემთხვა კატას და მოჰყვა საშინელს ღმუილს. იგლოვა რამდენიც შეეძლო და ბოლოს აიღო მკვდარი, ბაღში შეიტანა, ტოტებით გაუთხარა საფლავი, ჩაასვენა და მიწა მიაყარა. მერე დაწვა საფლავზე და მოჰყვა ხელახლავ გულსაკლავ ღმუილსა. (ვ. ი. ლ.)

# უცხოეთი

—

**იტალია და აბესინია.** აფრიკაში გაგზავნილმა იტალიის გენერალმა ბარატიერმა, ომის გამოცხადების წინად, შემდეგი შეუთვალა აბესინიის მეფეს მენელიკს: იტალია ომს არ აუტეხს აბესინიასაო, თუ მენელიკი შეასრულებს შემდეგს პირობებსაო: ამგარის მცხოვრებთ დაუყოვნებლივ უნდა აეყაროს იარაღი, ტიგრეს მხარე იტალიის სამფლობელოდ უნდა იქმნას აღიარებული, უნდა გამოცხადდეს იტალიის პროტექტორატი მთელს აბესინიაზე, აბესინიამ უნდა იხადოს ყოველ წლივ ხარკი და ბოლოს დაუყოვნებლივ უნდა განდევნოს უცხო ქვეყნის ინტრიგანები, რომელნიც მენელიკის სასახლეში არიანო. ამის პასუხად მენელიკმა გაგზავნა ბარატიერის წინააღმდეგ ჯარი და იტალიელთ პირველი რაზმი უკვე სასტიკად დაამარცხა ამბალაჯისთან, რაც კიდევაც ვაცნობეთ მკითხველთ ამას წინად.

—

იტალიის ორი სამხედრო გაზეთი „ეზერციტო“ და „იტალია მილიტარე“ ამბობენ: საქმის მდგომარეობა აფრიკაში მეტად საშიში არისო. ამავე გაზეთების სიტყვით, აბესინელებს 90,000 ჯარის-კაცი ჰყავთ. „ეზერციტო“ ამბობს: „შესაძლოა აბესინიის ჯარი ადიგრათს, სადაც ბარატიერი იმყოფება, გარს შემოერტყას ასაღებად; თავი და თავი სამხედრო ძალა აბესინელთა მასსოვაზე წავა. „იტალია მილიტარე“-ს სიტყვით, რომში გამოწვეულ გენერალ ბალდასსედას განუცხადებია, საჭიროა აფრიკაში 30,000 კაცი და 80 ზარბაზანი გავგზავნოთო.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთის საელჩოდამ პეტერბურგში გაზეთ „ნოვ. ვრ.“-ს შემდეგს სტამბოლიდამ მოსულს ამბავს ატყობინებენ:

რამდენიმე სომეხი, ქართულად ჩაცმული და ჰენრი მარტინის სისტემის თოფებით შეიარაღებული, საკარდაჩის მახლობლად (სივაისის ვილაიეტისა), თავს დასხმია 14 მგზავრს ოსმალელს და ხუთი მათგანი ტყვეთ წაუყვანიათ; დანარჩენი ცხრა კაცი-კ მახლობელ სოფელში გაქცეულა.

ამავე ბოროტ-განმზრახველთ წაუყვანიათ ტყვეთ 11 მაჰმადიანი, მათ შორის ორი ქალი. ყველა ტყვეები ერთ და იმავე ოლქიდამ არიან. ტყვეთ წაყვანილნი მამა-კაცნი სომხებს სასტიკად უწვალებიათ: დაუჭრიათ ყურები, ამოუთხრიათ თვალები და მერე დაუხოციათ, ქალები-კი წაუყვანიათ.

ეს და სხვა ამგვარი ბარბაროსობა სომეხ მეამბოხეთ იმიტომ ჩაუდენიათ, რომ ოსმალელთაგანაც ამგვარივე მოქმედება გამოეწვიათ ქრისტიანების წინააღმდეგ და ამით საზოგადოების აზრი და თანაგრძნობა მოეხვეჭონ თავიანთვე სასარგებლოდ.

ოსმალეთის მთავრობა თვალ-ყურს

---

რამ გველეშაპი მოსდევს; დაუღრენია პირი და მარჯვნივ-მარცხნივ ლამის ყველაფერი შთანთქას. ამ ვეშაპს თურმე შვიდი თავი აქვს და თვითეულ თავს სახელად ევროპიელნი რაცდა-რაცდა „ზმი“-ს უძახიან: კაპიტალიზმიო, სოციალიზმიო, კომუნიზმიო, ანარხიზმიო და კიდევ ათასნაირი „ზმი“-ო. მოდის, მოქუხს, ეს ვეშაპი და აგერ სადაა საქართველოშიაც შემოვარდება—საქართველომდისაც მოატანს.

— უი ქა, რას ბძანებთ, შავ ზღვას როგორ გამოატანს! სიტყვა ჩამოართვა ჩემს მეგობარს ერთმა აქ დამსწრე მოხუცმა მანდილოსანმა. ჩემმა მეგობარმა გაიღიმა და განაგრძო საუბარი:

— დიახ ბატონებო, იმ ვეშაპს არ შინიან არც შავის ზღვისა და არც კავკასიონის ქედისა და დღეს იქნება თუ ხვალ ქართველებსაც გვეწვევა. ჩვენ-კი ჩვენდა საუბედუროდ არაფრით მზად არა ვართ შევებრძოლოთ ამ დაუნდობელს, ყოვლის გამანადგურებელს ვეშაპს.

— ხმალი მაგ ოხერსა!—წამოიძახა ერთმა აქ დამსწრე ახალგაზდა ქართველმა და ხანჯალი იშიშვლა.

— დაწყნარდი „კნიაზო“, უკანვე ჩააგეთ თქვენი ხანჯალი, მაგის დრო წავიდა, გაჰქრა—უპასუხა ჩემმა მეგობარმა და კვლავ განაგრძო—დიაღ... იმას მოგახსენებდით... თურმე კი ხსენებულის ვეშაპის საწინააღმდეგო იარაღი და მისის მოსპობის უებარი წამალი აი რა ყოფილა: 1) სწავლა-განათლება, 2) შრომა-გარჯა, 3) ყაირათი (ეკონომია), 4) მეცნიერული მეურნეობა, 5) მრეწველობა, 6) ვაჭრობა და 7) ხელოსნობა.

— ჰო და, შვილო, გენაცვალე, ეგ თითო თითო რაც არ ჩამოთვალე, ნივრის წყალში გავლესოთ და თვითეულს ყბაში ჩავასხათ იმ შეჩვენებულს და საქართველოც მორჩება და გადარჩება,—დედაშვილობამ მართალს მოგახსენებ.—ასეთი იმედი მოგვცა წელანდელმა მოხუცმა მანდილოსანმა.

ჩემმა მეგობარმა წამოავლო ქუდს ხელი და გაიქცა. მე-კი მთელი ღამე არ მძინებია. არა, იმ ოჯახ-ქორმა სწორედ რომ ცეცხლზე წყალი დამისხა... გამიტყდა ძილი, ი ვეშაპის წამლები სულ ერთმანეთში აირივნენ: სწავლა-შრომა, ყაირათი-განათლება, მეურნეობა ხელოსნობა, ვაჭრობა და მრეწველობა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ვერა მოვიფიქრე რა... მრცხვენიან-კი რომ ვსთქვა და მგონი, რომ ქართველობა არც ერთით არა ვართ, ამ შვიდში გამოჩარხულ-შეიარაღებული.

შენ რაღას იტყვი მკითხველო, მზათა ვართ ქართველები ცხოვრების მეჯლისზე საბრძოლველად?

## IX

მოვა, თუ არ მოვა ის შვიდთავა ვეშაპი, ვიქნებით თუ არ ვიქნებით ქართველობა იმ დროს მზად შესაბრძოლად, მაგას მომავალი გვიჩვენებს და ახლა-კი მე მაინც ჩემის რეხელების მოციქული ვარ.

67 წელიწადი შესრულდა, რაც ეს ჩვენი მოძმე რეხელი ქართველობა თათრების კლანჭებიდამ ჩვენვე დაგვიბრუნდა. მერე? გვიზრუნია რამ ამ ხალხისთვის?—არაფერი. არც-კი ვიცოდით ამ ხალხის ქვეყანაზე არსებობა, არამც თუ გაგვერიგებინოს რამე. ვინ ჰყავთ გულშემატკივარი? არავინ. ვინ უნდა გამოჩნდეს ამათი ჭირისუფალი?—ჩვენ. ვინ არის ზნეობრივი მოვალე ამათ დაეხმაროს?—ჩვენ.

ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ორის მარტივის სხეულისაგან შესდგება—აზოტისაგან (79 წილი) და მჟავბადისაგან (21 წ.). ვინ იცის, რაძღენი ათასი მილიონი წელიწადია, რაც ეს ორი გაზი ერთად არიან არეულნი და ერთად მოქმედებენ, მაგრამ მის დღეში ესენი ერთმანეთს არ შეუერთდებიან და არ შეუსისხლ-ხორცდებიან—აზოტს თავისი ბუნებრივი ზნე-ხასიათი ყოვლად შეუცვლელად რჩება, მჟავბადს თავისი.

ამგვარადვე რეხელი ქართველობა თუმცა სამ საუკუნეზე მეტია სცხოვრობს სხვა ეროვნებასთან ერთად, მაგრამ ესენი მათ ვერ შეუერთ-შეუსისხლ-ხორცდებიან. ხოლო ბუნებითვე დაყოლილ კანონის ძალით, რომლითაც შობილი მშობელს ეტანება, რეხელებიც სულით და გულით ეტანებიან ქართველობას, მაგრამ მოთავე არავინ ჰყავთ, რომ ბუნებრივ სულთა-სწრაფვას საქმით გაუძღვეს.

აი რაში გამოიხატება ამათი ქართველობა და მისწრაფება ქართველების მიმართ.

რეხელები ბერძნის ქალს არ ირთვენ და არც ქალს მიათხოვებენ. ძლიერ იშვიათად ღარიბი ვინმე უნდა იყოს, რომ ან ითხოვოს, ან მიათხოვოს ბერძენს ქალი, ხოლო რეხელებს ქართველი ქალები მოჰყავთ—თონეთიდამ, გომარეთიდამ, კლდეისიდამ და ჯავახეთის ყველა ქართველ სოფლებიდამ და ამათვე მიათხოვებენ ხოლმე თავიანთ ქალებს, მისვლა-მოსვლა და ნათელ მირონი აგრეთვე ზემოხსენებულ ქართველებთან აქვთ. ჩაცმა-დახურვა ვაჟთა და ქალთა ისეთივე აქვთ, როგორც ზემოხსენებულ სოფლებში ქართველებს. მოწყობილება ოჯახში და ჭამა-სმაც იგივეა, რაც ჯავახელ ქართველს აქვს.

კოძლეულ აღწერის დროს, ვილაც ვაჟბატონებს ურჩევიათ რეხელებისთვის ბერძნად ჩაეწერეთო, მაგრამ ამათ უპასუხეს: „რას ამბობ, ყარდაშ, რა გვიგავს ბერძენს? სადაური ბერძენი ვართ, როდესაც ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენი მამა-პაპა ქართველები იყვნენ და ჩვენი ნათესაობა დღესაც ქართლში სცხოვრობენ“. ამიტომაც ამათგან გამოყვანილი „სალდათი“ გორში მიდის ქართველებთან ერთად და არა წალკის ბერძნებთან.

ახლა ერთი ეს მიბრძანეთ, ცოდვა არ არის ამოდენა ხალხი ასე უყურადღებოდ დავტოვოთ? მასხარობა არ არის, რომ ამ ქართველ ხალხს ბერძნულად ჰქონდეს ლოცვა, რომელიც არც მღვდელს ესმის და არც ერსა? სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ ამ მართლ-მადიდებელ ქართველ ხალხს სახარებას თათრულად უკითხავენ, ალსარებას თათრულად ათქმევინებენ და ოჯახშიაც ძალა უნებურად დედა-ენად თათრული ენა გახდომიათ?

რა გაჭირდა ამათთვის ერთი პატიოსანი ქართველი მღვდელი და მასწავლებელი!

როგორც ამ ხალხმა ამიხსნა, ესენი სასუფეველივით მოელიან ქართველ მღვდელს და ქართულ წირვა-ლოცვას. სამრევლო სკოლას და ქართველ მასწავლებელს—ჰანი ბატონო პატრონი? ასე დაამბოლოვეს ჩემთან საუბარი რეხელმა ქართველებმა.

მხოლოდ ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ მღვდელმაც და მასწავლებელმაც თათრული ენაც უნდა იცოდნენ, რადგან ჯერ-ჯერობით საჭიროა მოხუცებულთათვის, რომელთაც ქართული ენა ნაკლებად იციან.

მაშ ვთხოვთ, ვისაც შეუძლიან და ვისგანაც დამოკიდებულია, დახმარება აღმოუჩინოს ამ 700—800 სულს მართლ-მადიდებელ ქართველობას, რომელნიც ჩვენი, ქართულის დაუდევრობის გამო, დღეს ამისთანა სასაცილო მდგომარეობაში არიან.

სხვა არა იყოს რა, ამდენი სული ქართველი ქალები მაინც შეიბრალეთ, რომელნიც აქ რძლად მოსულან და კვლავ მოვლენ, რომელთაც თათრული არ იციან და არც აღსარების თქმა შეუძლიანთ და არც ბერძნულ-თათრულის წირვა-ლოცვის მოსმენა.

თუ არა და ეს ხუთმეტი კომლი ქართველობა ხომ ქართლიდამ მოსულან და აქ რეხაში დასახლებულან. ამათ, ამ სამოცამდე სულს, რაღა ბრალი აქვთ, რომ ძალა-უნებურად ვათათრებთ და დამახინჯებული ბერძნულ-თათრული წირვა-ლოცვაც უნდა მოისმინონ.

ილ. ალხაზიშვილი.

4 დეკემბერი, 1895 წ.
ქ. ახალქალაქი.

ადევნებს, რომ ამგვარი ბოროტება აღარ გამეორდეს.

—

**საფრანგეთი.** რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ შემდგარ კომპანიის შესახებ გაზეთები ზოგიერთს ფრიად საყურადღებო ამბებს იუწყებიან. ფელიქს ფორმა ადრევე იცოდა, რომ იმის წინააღმდეგ კომპანია იყო შემდგარი, იცოდა ისიც, თუ რას წარმოადგენდა იგი კომპანია. ფელიქს ფორმა გარდასწყვიტა არ შემდგარიყო ამ მოწინააღმდეგეთა წინაშე და თვითონვე გამოეაშკარავებინა ის, რაშიაც მას ამტყუნებდნენ. 27 ნოემბერს ელისეის სასახლეში მიწვეულ იქმნენ ყველა რედაქტორები და აქ მისცეს მათ ფელიქს ფორის მეუღლის შესახებ ყველა დაწვრილებითი ცნობანი, რომელნიც გაზეთებს უნდა გამოექვეყნებინათ; ყოველს გაზეთს შეეძლო როგორიც-კი ჰსურდა, ისეთი დასკვნა გამოეყვანა ამ ცნობებიდამ. თითქმის ყველა გაზეთებმა, დაწყებული მონარქიულ „გოლუა“-დამ, ვიდრე სოციალისტთა გაზ. „პტიტ რეპუბლიკ“-ამდე, ხმა ამოიღეს ამ მოწოდებაზე და მეორე დღესვე გამოააშკარავეს საქმე რაში იყო. გაზეთებმა პირ-და-პირ გაჰკიცხეს კომპანიის შემდგენელნი. მაგრამ ყველამ ერთი აზრი არ გაატარა. მაგ. „ლიბრ პაროლ“-მა, რომელსაც თანამშრომლად ხსენებულს კომპანიაში მონაწილე დელაგე ჰყავს, მხოლოდ შემდეგი შენიშვნა იკმარა: „ჩვენ ამ საქმეს კიდევ დავუბრუნდებით,—აი ის, რის თქმაც დღეს შეგვიძლიან“. მალე კიდევ იყო ხსენებულს გაზეთში დაბეჭდილი წერილი. 30 ნოემბერს დელაგე სწერდა: «ჩვენ ბრალს გვდებენ, ვითომ შეთქმულობა გვქონდეს, რათა ამით საპრეზიდენტო კრიზისი გამოვიწვიოთ. ვითომ რატომ არ შეიძლება, თუ-კი ეს საჭიროა? უფრო მეტს ვიტყვი. ჩვენ გვსურს მთელის ერის კრიზისი გამოვიწვიოთ, რომ ამით ერთგვარ პოლიტიკოსთაგან განვთავისუფლდეთო». რეაქციონული გაზეთები, მაგ. „გაზ. დე ფრანს“ და „ოტორიტე“ ფელიქს ფორის ოჯახის ისტორიით სარგებლობენ, რომ ამით თვით პრეზიდენტს წინაღუდგნენ. ჩვენ სრულიად თანახმანი ვართო,—ამბობენ ეს გაზეთები,—რომ ფორის ყოფა-ქცევა, როგორც პატიოსანი კაცისა, სრულიად უნაკლულოა, მაგრამ მას არ უნდა ეკისრა ასეთი მაღალი ადგილი სახელმწიფოშიო. ხოლო რაც შეეხება თვითონ რესპუბლიკის პრეზიდენტს, მისი ფიქრით, ეს აგიტაცია რეაქციონერებისაგან არის დაწყებული. ასე სთქვა თურმე პრეზიდენტმა პროგრესსისტთა დასის მოთავესთან იზამბერთან, როდესაც ეს უკანასკნელი მივიდა მასთან თავისის უკმაყოფილებისა და წყრომის გამოსაცხადებლად ამ ულირს კომპანიის წინააღმდეგ. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამავე აზრით ინახულეს ფორი დიუპუიმა და ვალდეკ-რუსსომ.

---

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

(საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ № V, 1895 წ.

მივიღეთ მეხუთე ნომერი „ჯეჯილისა“ და მასთან რედაქტორის წერილი „მკითხველების საყურადღებოდ“.

ამ წერილის შინაარსმა ბევრნაირი გულის გასაგმირავი ფიქრები გამოიწვია ჩვენში.

ნუ-თუ მართლა ისე ღარიბია ჩვენი ქვეყანა და ცხოვრება საყმაწვილო ჟურნალისათვის საჭირო ლიტერატორებით და მასალით?

ნუ-თუ მართლა ისე გაგვიწყრა ღმერთი, რომ ერთად-ერთი საყმაწვილო ჟურნალი ვერ უნდა ვასულდგმულოთ ამ ჩვენ უიმისოდაც ლიტერატურულ ორგანოებით ღარიბ სამშობლოში.

ნუ-თუ გულცივად უნდა მოვეპყროთ ამ დიდად სიმპატიურსა და მეტად სასარგებლო საქმეს და მით გავუხადოთ საეჭვოთ და საფიქრებლად მას თავისი არსებობა?

საუბედუროდ ჩვენდა, ყველა ამ კითხვებმა ისეთი პასუხები გამოიწვია ჩვენში, რომ უნებურად შემოგვაკვრევინა თავში ხელი.

ჩვენი ლიტერატორებისაგან და საზოგადოებისაგან თავდანებებული დ მიტოვებულია ისეთი საქმე, რომელიც უპირველეს საჭიროებას შეადგენს კაცობრიობის წინსვლის ისტორიაში. ჩვენი ლიტერატორები ყურადღებას არ აქცევენ იმ ყოველი პატიოსანი ადამიანისაგან აუცილებელ საჭიროდ ცნობილ საქმეს, რომელსაც ახალ თაობის აღზრდას და განათლებას ეძახიან.

მართალია ყველას არ შეუძლიან იშრომოს იმ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ შევეხებით ამ წერილში, მაგრამ ნამდვილად-კი ვიცით, რომ ჩვენის ინტელიგენციის უმეტესს ნაწილს შეუძლიან თუ ორიგინალური არა, ნათარგმნი მასალა მაინც მიაწოდოს საყმაწვილო ჟურნალს.

საყმაწვილო ჟურნალი უნდა აწვდიდეს მოზარდს თაობას ყოველ გვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს, როგორც ესტეტიკურს, აგრეთვე მეცნიერულსაც. ამნაირი ჟურნალისათვის უპირველესად მარტივი და ყველასათვის გასაგები ენა არის საჭირო— მით უმეტეს, რომ ჩვენ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ნამდვილი ქართული ენა; ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში უთუოდ შეხვდებით ან სასტიკ ბარბარიზმს და ან ისეთ ახლად გამოგონილს სიტყვებს, რომლის გაგება არამც თუ ბავშვებს არ შეუძლიანთ, არამედ დიდებისათვისაც ძნელი მისახვედრია. თუ მოზარდი თაობა აღიზრდება ნამდვილ ქართულ ენაზე, მაშინ ლიტერატურას უთუოდ ეყოლება ნამდვილი ქართველი მწერლებიც. ეს მოვლენა მით უფრო ღირსია ყურადღებისა, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ეხლანდელ სკოლებში ქართულს ენას ვერ სწავლობს და, თუ ჩვენ მაინც არ ვეცადეთ ამ ნაკლის თავიდამ აცილებას, ვერას გზით ვერ დავაყენებთ ჯეროვან ნიადაგზე ჩვენის ენის გაუმჯობესობას. ამისათვის, ვიმეორებთ, უპირველესად საჭიროა საყმაწვილო ლიტერატურული ნაწარმოები იწერებოდეს უბრალო გასაგები ენით; ამგვარ ნაწარმოებში უადგილო და შეუფერებელია ყოველგვარი გაუგებარი ტენდენცია.

ავიღოთ მაგალითად თუნდ მეხუთე ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ და დავუკვირდეთ რამდენად ასრულებს ეს ნომერი თავისს დანიშნულებას ამ მხრით. ჟურნალში პირველი ადგილი უჭირავს ბ-ნ გრ. აბაშიძის ლექსს: „აი, გახედე ძირს ცისას“. ეს ლექსი, ჩვენის აზრით, მშვენიერი ლექსია, როგორც იდეით, აგრეთვე გარეგანი ფორმითაც, მაგრამ მას სრულებით არა აქვს ადგილი საყმაწვილო ჟურნალში. სიამოვნებით წავიკითხავდით ამ ლექსს „ივერიის“, „მოამბისა“ და „კვალის“ ფურცლებზე, მაგრამ „ჯეჯილის“ ფურცლებზე-კი უადგილოდ მიგვაჩნია მისი დაბეჭდვა. აბა წააკითხეთ ეს ლექსი ბავშვებს და ჰკითხეთ მერე, გაიგო რამე თუ არა! ჩვენ სწორედ მოვახდინეთ ამგვარი ცდა ისეთ ყმაწვილებზე, რომელთაც ქართული ნაწერები კარგა ბლომად უკითხავთ, მაგრამ სრულებით ვერა გაიგეს-რა მათ. რა არის წყვდიადი, რა არის დიადი? რომელ ბავშვს ეჩვენება მეხის გრიალი ნანინად, ამისი მათ სრულებით ვერა გაიგეს-რა. ამ ლექსში, გარდა იმისა, რომ პატარა ლევანი არის ჩაკერებული, არაფერი არ არის საყმაწვილო, თუ ისე ესმის „ყმაწვილი“ ლექსის ავტორს, როგორც ესმისთ საერთოდ ყველას.

თუ გინდ იდეის მხრითაც რომ გავსინჯოთ ეს ლექსი, აქაც გაუგებარი დარჩება ბავშვებისათვის. ლექსში არის გატარებული ოპტიმისტურ-პატრიოტული ტენდენცია, ისეთი ტენდენცია, რომელიც დიდისათვისაც ძნელი გასაგებია. ეგებ არ დაგვიჯეროს ლექსის ავტორმა და ცილის წამებათ ჩასთვალოს ჩვენი შენიშვნა: ვსთხოვთ მას თვითონ მოახდინოს ცდა თავის ნაცნობ ყმაწვილებზე და მაშინ უთუოდ დარწმუნდება, რომ ჩვენი შენიშვნა ჭეშმარიტება არის.

ამავე ნომერში არის მოთავსებული რამოდენიმე მოთხრობები: „პატარა მარო“, „კოჭლი ბატი“, „საშინელი ღამე“, „ფელამუში“ და „წყარო“.

როგორც ბ-ნი ელიკო ამბობს, „პატარა მარო“ სოფლის ცხოვრებიდამ არის აღებული, მაგრამ ჩვენ-კი ეჭვის თვალით ვუყურებთ ამ გარემოებას. ნეტა სად არის ისეთი სოფელი ამ ჩვენ საქართველოში, სადაც ბავშვები სახელის დღეობაზე (День Ангела) ლაპარაკობენ? სახელის დღის დღესასწაულობა მხოლოდ ქალაქებში არის შემოღებული ჩვეულებად და ისიც ისეთ ხალხში, რომელსაც უმაღლეს წოდებას ეძახიან. ჩვენ სოფლებში-კი არასოდეს არა ჰქონიათ ჩვეულებად სახელის დღის დღესასწაულობა. შეიძლება ბ-ნ ელიკოს შეხვედროდეს ისეთი სოფლის ბავშვები, რომელნიც დღეობაზე ლაპარაკობენ, მაგრამ საყოველთაოდ-კი ძნელი მისახვედრია ჩვენი სოფლის ბავშვებისათვის, თუ რა არის დღეობა იმ აზრით, რა აზრითაც ეს ელიკოს მოთხრობის ბავშვებს ესმისთ. მაროც სოფლის ბავშვათ არის გამოყვანილი მოთხრობაში, თუმცა, როგორც გავს, ინტელიგენტურ ოჯახს უნდა ეკუთვნოდეს:

როგორ ოჯახსაც უნდა ეკუთვნოდეს მარო, თუ მართლა სოფლის ბავშვია, ვერ იტყოდა „ბუნდოვანი სურათებიაო“!..

ეს სიტყვა ეკუთვნის ბ-ნ ელიკოს და არა პატარა მაროს.

მიუხედავად ყოველივე ამაებისა, ეს მოთხრობა მშვენიერ შთაბეჭდილებას მოახდენს პატარა მკითხველებზე და დარწმუნებული ვართ, რომ უმნიშვნელოდ არ დარჩება მათი განვითარებისათვის.

ჩვენის აზრით, მშვენიერია ბავშვებისათვის ჟურნალში მოთავსებული მოთხრობები.

„კოჭლი ბატი“ და „ფელამუში“. ამ მოთხრობების კითხვით ბევრ სიამოვნებას იგრძნობს ჩვენი მოზარდი თაობა.

იგივე არ შეგვიძლიან ვსთქვათ ანნა—სის „წყაროზედ“.

ამ მოთხრობაში ისეთი აზრი არის გატარებული, რომ ბავშვები თავისს დღეში ვერ მიხვდებიან. დიდებისათვის მშვენიერი ალლეგორია არის ეს მოთხრობა, მაგრამ ყმაწვილებისთვის-კი არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

დასასრულ არ შეგვიძლიან თანაგრძნობა არ გამოვუცხადოთ ჯეჯილის რედაქტორს და არ ვუსურვოთ, რომ ჩვენმა ლიტერატორებმა და საზოგადოებამ ჯეროვანი მონაწილეობა მიიღონ ამ ერთად-ერთ საყმაწვილო ჟურნალში.

როდესაც ყოველთვიური გახდება „ჯეჯილი“, მაშინ უფრო წაახალისებს მოზარდ თაობას და საზოგადოებასაც.

ს. რ.

ქ. განჯა, 29 ნოემბერი.

---

## თეატრის მატიანე.

—

ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, ჩვენი სტუმარის, ბ. ეფ. მესხის ასულის საბენეფისოდ პირველად ქართულს სცენაზე წარმოდგენილი იყო „მედეა“ ოთხ მოქმედებიანი დრამა ლექსად და პროზათ დაწერილი ა. ა. სუვორინისა და ბურენინის მიერ. ავტორებს დრამის სიუჟეტად აუღიათ ცნობილი ლეგენდა მედეაზე, რომელშიაც, მათის აზრით, გამოიხატა ხალხის ბრძნული გონება და შეხედულება დედაკაცის მოვალეობა-უფლებაზე. ამ ლეგენდაში ნაამბობია იაზონის, არგონავთების წინამძღოლის, მოგზაურობა კოლხიდაში იმ ოქროს ვერძის მატყლის შესაძენად, რომელიც ფრიქსმა საბერძნეთიდამ ამ ქვეყანაში წამოიღო. ამ განძის მოპოვება, როგორც უძვირფასესის განძისა ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. ვერც ღონით, ვერც მამაცობით იაზონი ვერ მოახერხებდა მის შოვნას, რაიმე მანქანება და ჯადოსნობა რომ არ დახმარებოდა. ჯადოსნობა გაუწია იაზონს მედეამ, კოლხიდის მეფის ასულმა. მან შეიყვარა იაზონი, თავისის ჯადოსნობით დაეხმარა მას და ოქროს განძი აშოვნინა. ამას შემდეგ იაზონი დაბრუნდა საბერძნეთში, იოლკოსში და თან მედეაც წაიყვანა. იოლკოსში იმ ჟამად მეფობდა იაზონის ბიძა პელიასი, რომელიც მედეამ მოაკვლევინა იმ განზრახვით, რომ თავისი საყვარელი იაზონი მისი ბიძის სამეფო ტახტზე აეყვანა, მაგრამ ეს განზრახვა არ ასრულდა და, როგორც ბრალდებულნი პელიასის სიკვდილში, იაზონი და მედეა განდევნილნი იქმნენ იოლკოსიდამ. ამას შემდეგ ლეგენდა ბევრს რამეს მოგვითხრობს იაზონის და მედეას ცხოვრებიდამ, მაგრამ ჩვენ აქ ლეგენდას თავს გავანებებთ და ესევე მოკლედ მოვიყვანთ თვით დრამის შინაარსს, რადგან ავტორებიც თავიანთ პიესას სწორედ აქედამ იწყებენ.

იოლკოსიდამ გაძევებული იაზონი (ბ. კ. მესხი) მედეას და თავისს ორს შვილს თავს დაანებებს და მარტო გამოიქცევა კორინთში, სადაც მეფე კორინთისა კრეონი (ბ. გუნია) მიიღებს მას, როგორც ღირსეულს მოქალაქეს და მეომარს და თავისს ასულსაც, კრეუზას (ქ. ჩხეიძისა), საცოლოდ დაუნიშნავს. ქორწინების წინა დღეს გამოჩნდება კორინთში მედეა (მობენეფისე, ბ-ნი ე. მესხის ასული) თავისის შვილებითურთ და კრეონის სასახლეშივე შეხვდება იაზონს. იაზონი უცხადებს, რომ მედეამ იგი ტყუილად მოსძებნა, რადგან მათ შორის ყოველი ანგარიში გასწორებულია. მეფე და მოქალაქენი იაზონის მხარეს იჭერენ, მედეას ყოველ სიბოროტეს, ცბიერებას და ჯადოსნობას სწამებენ და გარდასწყვეტენ მედეა კორინთიდამ განდევნონ; ამათისავე გარდაწყვეტილებით მედეას შვილები კორინთში უნდა დარჩნენ, იაზონთან. მედეა მეორე დღეს გემზე უნდა დაჯდეს და სამშობლოსაკენ გაემგზავროს. მოხუცი ფილოსოფოსის ფილოქტეტის (ბ. გედევანოვი) რჩევით მედეა, ვითომდა დაემორჩილება ხსენებულს გარდაწყვეტილებას, დამშვიდდება, ინახულებს იაზონს და სთხოვს უკანასკნელი თხოვნა აუსრულოს: მოჰგვარონ გამოსათხოვებლად მისი შვილები და ნება მისცენ უკანასკნელი ღამე მათთან გაატაროს. იაზონი ვერ მიხვდა, რა განზრახვაც ჰქონდა მედეას და მოტყუებული მისი სიმშვიდით და სასოწარკვეთილებით მოჰგვრის ბავშვებს. მედეა, თავისს მხრით, უგზავნის კრეუზას მშვენიერს ოქროს გვირგვინს, რათა კრეუზას გული მოიგოს და მისს შვილებს შემდეგში მეტის სიყვარულით მოექცეს, — გვირგვინი-კი მედეამ წინადვე მოსწამლა და ამით გარდასწყვიტა თავისის მეტოქის დაღუპვა. უმანკო კრეუზამ მედეას საჩუქარი სიხარულით მიიღო და ქორწინების დროს თავზე დაიდგა, მოიწამლა და მოკვდა. მედეა დაინახავს-რა ყველა ამას, გაქცევას დააპირებს თავისის შვილებითურთ, ხოლო დრო რომ მოიგოს და მდევრები მალე არ გამოუყენონ, სასახლესაც ცეცხლს წაუკიდებს. მედეა მაინც შორს ვერ გაიქცევა, იაზონი და მდევრები მალე დაეწევიან, მაგრამ სანამდის იაზონი მოასწრებს, მედეა თავისის ხელით დახოცავს ხანჯლით ორივე თავისს შვილს და თავის მოკვლასაც დააპირებს, ხოლო იაზონი მიასწრებს, ხელიდამ ხანჯალს გამოსტაცებს და თვითონ მოჰკლავს მას.

აი შინაარსი ამ დრამისა, რომელიც სრული ანახრონიზმია თავიდამ ბოლომდე. პიესა ქართულადაც კარგის ქართულის ენით არ არის ნათარგმნი, ზოგჯერაც რითმის გულისათვის აზრი გარკვევით არ არის გამოთქმული. ყველა ამის მიუხედავად, პიესის უმთავრესი როლი მედეასი მშვენიერად არის დაწერილი: ქმრისა და შვილებისადმი განუსაზღვრელ სიყვარულისა და შურის ძიების გრძნობის შორის ძლიერი ბრძოლა ძლიერის ხასიათის დედისა და მეუღლისა მიიზიდავს მაყურებელის სრულს ყურადღებას და ეს ყურადღება არ დაჰლალვია და არ გაჰგრილებია მაყურებელს წარსულს ოთხშაბათს, ისე კარგად, ისე ლამაზად და ძლიერად თამაშობდა მედე 'ს როლს მობენეფისე არტისტი-ქალი. ბ. კ. მესხი იაზონის როლში კარგი იყო, მეტადრე პირველ სამს მოქმედებაში, ხოლო მეოთხე მოქმედების პირველ სურათში თითქოს როლი დაავიწყდაო, როგორღაც კოჭლობა და-

ისეთ. ბ. გედევანოვი არ მოგვეწონა: ამ მეცადინე და გონიერმა არტისტმა ფილოქტეტის როლი მეტისმეტად უგემურად გაატარა. დანარჩენ არტისტებზე არას ვიტყვით, რადგან თავიანთ როლები არც კარგად და არც ავად შეასრულეს.

თეატრში ხალხი ბევრი იყო, მობენეფისე ძალიან კარგად და დიდის თანაგრძნობით მიიღეს და ანტრაქტებში მრავალჯერ იყო გამოწვეული.

ს—ი.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი ბარათაშვილნი. საქართველოს მეფის სვიმონის 1521 წლის გუჯარში ივანე და ამილახვარ ბარათაშვილნი თავადებად არიან წოდებულნი.

თავად ბარათაშვილთა გვარეულობა ნაჩვენებია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წელს შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

25 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) გუბერნიის მდივანი დავით დიმიტრის ძე და შვილი მისი ზაქარია; 2) პოდპორუჩიკი ქაიხოსრო ზაზას ძე და შვილნი მისნი დავითი და პავლე; 3) თამაზ ივანეს ძე; 4) კოლეჟსკი ასესორი ზაალ ზაქარიას ძე და შვილნი მისნი გიორგი და დიმიტრი; 5) პოდპორუჩიკი ქაიხოსრო ზაქარიას ძე; 6) პოდპორუჩიკი იოანე და პრაპორშჩიკი გრიგოლ ნიკოლოზის ძე და 7) ქაიხოსრო ვახუშტის ძე ბარათაშვილნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 19 მარტს 1831 წ., 21 სექტემბერსა და 21 დეკემბერს 1849 წ., და 13 იანვარს 1854 წ., ამ გვარს შეუერთდნენ ბარათაშვილნი: 1) დავით იაკობის ძე; 2) პრაპორშჩიკი გრიგოლ ნიკოლოზის ძე და შვილნი მისნი ნიკოლოზ, მარიამ და ელენე; 3) დავით, ივანე და გიორგი ზაქარიას ძენი და 4) ივანე ზაალის ძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს პარაკლისის გარდახდისა და დღესასწაულობის შესახებ დეპეშები თითქმის რუსეთის ყველა ქალაქებიდამ მოვიდა გუშინ, 6 დეკემბერს.

**ოდესსა.** უნივერსიტეტის რექტორად პროფესორი შვედოვი იქმნა დანიშნული.

**ვენა.** 6 დეკემბერს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, იმპერატორს ფრანც იოსებს სადღესასწაულო სადილი ჰქონდა გამართული.

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ ატყობინებენ ლონდონიდამ: ვესტმინსტერის ჰერცოგის წინადადებაზე, ბოლო მოვუღოთ ოსმალთა მხეცურს საქციელსაო, სოლსბერიმ განაცხადა, რომ ინგლისში მართალია საზოგადოების აზრი თანაუგრძნობს ამ საგანსაო, მაგრამ ევროპაში-კი, ხმელზე, სომეხთა სასარგებლოდ მოძრაობა ისეთი ძლიერი არ არის და ამიტომ საშიშია, ვაი თუ ინგლისი სრულიად განმარტოებულად დარჩეს, რომ კვლავ სცადოს თვისი ძალა ოსმალეთის ხელში დასაჭერადაო.

**კონსტანტინოპოლი.** ხაურანში ბედუინთა და დრუზთა შორის შეტაკება მოხდა. ამ შეტაკებაში მოკლულნიც და დაჭრილნიც აღმოჩნდნენ. კრიტოსის კუნძულზე ხალხი აღელვებულია იმ შეტაკებათა გამო, რომელნიც სარევოლიუციო კომიტეტთა მოქმედებამ გამოიწვია. როგორც ხმა ისმის, ჰაზი-მუხთარ-ფაშა კონსტანტინოპოლში გაუწვევიათ და აქ მაღალს ადგილს მისცემენო.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალთა წყაროებიდამ იუწყებიან, რომ ზეითუნელმა აჯანყებულებმა ზეითუნის მიდამოებში მუსლემინთა ცხრა სოფელი ააოხრეს და მრავალი ხალხი დახოცესო.

**ლონდონი.** სომეხთა საქმის შესახებ ბევრი იმ აზრისაა, რომ სან-სტეფანოს ხელშეკრულობის აღდგენა საუკეთესო გარანტია იქნებოდა სომეხთა უზრუნველ-საყოფელადაო. „დეილი ნიუზ“-ის აზრით, ევროპის სახელმწიფოთ რუსეთისათვის უნდა ეთხოვნათ მიიღოს მათგან დავალება, რათა ოსმალეთის სომხეთი დაამშვიდოსო.

**ნიუ-იორკი.** ირლანდიის საერო კავშირმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია—შეერთებულს შტატებს 100,000 ჯარის-კაცი უნდა მიეცეს, თუ რომ ინგლისთან ომი მოუხდებაო.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა კლიველენდმა ვენეცუელის საგნის შესახებ კონგრესს ეპისტოლეთი მიჰმართა. ამასთანავე ერთად პრეზიდენტმა უპასუხა სოლსბერს, რომ იგი მტკიცედ ადგას მონროეს მოძღვრებას და სწუხს, რომ საკამათო საგნის შესახებ მედიატორეთა სამართალს ინგლისი უარსჰყოფს. ეპისტოლეში კლიველენდი ურჩევს კონგრესს დანიშნოს კომისია, რათა ვენეცუელასა და ბრიტანიის გვინეას შორის ამ კომისიამ დასდვას საზღვარი. კონგრესის წევრთ, რომელნიც დემოკრატიის პარტიას ეკუთვნიან, ერთხმად მოიწონეს პრეზიდენტის ეპისტოლე. რესპუბლიკელნი ამის შესახებ თავ-დაჭერით აღიარებენ თავიანთს აზრებს. ნიუ-იორკის ჟურნალ-გაზეთობის უმეტესობა იმ აზრისაა, რომ კლიველენდის ეპისტოლეს მთელი ერი მხარს დაუჭერსო.

**ბრესტი.** გემი „გროზიაშჩი“ აღმოსავლეთისკენ წავიდა.

**რომი.** კრისპიმ მოითხოვა აფრიკის ექსპედიციისათვის 7 მილიონ ლირის მაგიერ ოცი მილიონი. საბიუჯეტო კომისიამ ეს კრედიტი შეიწყნარა. კრისპიმ განაცხადა, რომ აფრიკაში გასაგზავნმა მიმშველებელმა ჯარმა უნდა აღადგინოს იტალიის პრესტიჟიო.

**კონსტანტინოპოლი.** კრიტოსის კუნძულზე ჯერ-ჯერობით იგზავნება 4 ბატალიონი ქვეითი ჯარისა.

**ლონდონი.** შეერთებულ შტატების ელჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის საეროვნო და სხვა ინტერესები საერთონი არიანო. „ინგლისიო, სთქვა მან, ვერ დაიჯერებს, რომ ჩვენ შორის უთანხმოება მოხდესო“.

კანადიდამ იუწყებიან: პრესამ მოიწონა სოლსბერის მოქმედება ვენეცუელის საკითხში და ამბობს, რომ კლიველენდის ლტოლვილება უნდა აილაგმოსო; უნდა ვიზრუნოთ კანადის შეიარაღებისათვის, რათა წინ აღვუდგეთ შეერთებულ შტატებსაო.

**ვაშინგტონი.** სენატის კომისიამ გარეშე საქმეთა შესახე გარდასწყვიტა არ შესწყვიტოს მუშაობა მიუხედავად მომავალ უქმეებისა. რესპუბლიკელნი და დემოკრატები შეერთდნენ, რათა ძმურად მხარი მისცენ მთავრობას. სენატს წარუდგინეს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქმნას შტატების სამხედრო ძალა; თხოულობენ 100 მილ. დოლარს ერთ მილიონ ქვეითა ჯარის გამოსაწყობად; საჭიროა აგრეთვე 6,000 ზარბაზანი არტილერიისათვის და ციხეებისათვის. კანონ-პროექტი გარდაეცა სამხედრო საქმეთა კომიტეტს, რომელმაც იგი ერთხმად შეიწყნარა. პრეზიდენტს დაევალა აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა განსაზღვროს ვენეცუელის ტერრიტორია. კომისიისათვის დანიშნულია 100 ათასი დოლარი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. ტფილისს— ა. ა. ს.—ს.** თქვენგან გამოგზავნილი თარგმანი „ბედნიერებამ დაიგვიანა“ ჯერ არ გაუსინჯავს რედაქციას.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. პოროჯან შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: საათ. ოაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—58).

კაბინეტი კბილის ექიმის
ი. ი. ჰეიგინბერგისა
ბარიათინსკის ქუჩა, № 3, სადაც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ იმყოფება.
ხელოვნური კბილები—თვითო კბილი 2 მან. კბილის პლომბის გაკეთება—თვითო კბილზე 1 მან. წიგნაკი „კბილებს როგორ უნდა შენახვა“, თხზულება ი. ჰეიგინბერგისა, უფასოდ ეძლევათ პაციენტებს.
(3—2088—2)

ამა წლის 25 დეკემბრიდამ
უფასოდ
კედლის
ქართული კალენდარი
1896 წლისა
საზღვარ-გარეთიდამ მიღებულ სხვა-და-სხვა
ლამაზ სურათებზე
დაკრული

მიეცემა ყველა იმათ, ვინც იყიდის „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიაში (ქვაშვეთის ეკკლესიასთან) «ამხანაგობის» მიერ გამოცემულ წიგნებს არა ნაკლებ 1 მან. 20 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთაც გაეგზავნებათ, თუ ფოსტის ხარჯს გამოგზავნიან. (3—1)

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.

2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქაღალდზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მი ერ. სურათით, მშვენიერს ქაღალდზედ 20 კ.

4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება
სალხინო საზანდარი
მეოთხე გამოცემა, შევსებული და შესწორებული
(ლიტოგრაფიის სურათანი ყდით)
შედგენილი და შეთხზული
გიორგი ი. სკანდარნოვისაგან.
ფასი ერთი მანეთი.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის“, „ქართველთა ამხანაგობისა“ და ზაქარია გრიქუროვის მაღაზიას და აგრეთვე შემდგენელს, (აბას-აბადის მოედანზე, № 28).

ვინც ათ ცალზე მეტს იყიდის დაეთმობა 25%.

ადრესი: Тифлисъ, Аббасъ-Абадская площадь, домъ № 28, Георгію Скандарнову. (3—6—1)

მომავალ 1896 წელს
სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, ეკონომიის, სტატისტიკისა, ჰიგიენისა და საბეითალო
ყოველ-კვირეული ჟურნალი
„მ ე უ რ ნ ე“
(წელიწადი მეცხრე)

გამოვა იმავ პროგრამით, წესითა და ფასად, როგორც დღემდის გამოდიოდა. ჟურნალს მომავალ 1896 წელს მუდმივს თანამშრომლობას გაუწევენ: თ-დი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, ანატოლი ვუჩინო, გრიგოლ გველესიანი, იოსებ გუნცაძე, არჩილ დარეჯანიშვილი, თ-დი ნიკოლოზ დგებუაძე, თ-დი ალექსანდრე თუმანიშვილი, ნიკოლოზ კურნალი, თ-დი ერმილე ნაკაშიძე, ვასილ სულხანიშვილი, არტემ ფირალოვი, ალექსანდრე შარაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.—ექიმები: გიორგი ბადრიძე, თ-დი ყარამან ჩიქოვანი და სხვ.

ჟურნალს დახმარება აღუთქვა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა.

რედაქცია ეცდება მომავალ წელში უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს უძვირესი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის მეურნეობის ამ დარგიდან ჟურნალს უმზადებს მომავალ წლისათვის ბ-ნი ანატოლი ვუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

ჩაი
მისი მოშენება და დამუშავება.

თარგმანს დამატებული ექნება ბ-ნი ვუჩინოს პრაქტიკული შენიშვნები ჩაის მოყვანის თაობაზე საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში და განსაკუთრებით ჩაქვში.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გუგუთის ქუჩის გადასასვლეში, ჭყონიას სახლი № 10 და წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილებიდან ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ ფულები და დაბარების წერილები: Кутаисъ. Въ Редакцію „Меурнэ“.

ჟურნალი ღირს: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან.


Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.